ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ასირიოლოგია / Assyriology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი / Ba in Oriental Studies

სპეციალობა - ასირიოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: რვა სემესტრი (240 ECTS კრედიტი).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **240 ECTS** კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

50 ESTC კრედიტი ეთმობა საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს. 120 ESTC კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის. 60 ESTC კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ESTC კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისათვის.

ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 65 ESTC კრედიტი სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის, 45 ESTC კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის, ხოლო 10 ESTC კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: ასირიოლოგია ანუ უძველესი აღმოსავლური ცივილიზაციების შესწავლა, წარმოადგენს რიგი დისციპლინების სინთეზს. ეს პრესტიჟული და იშვიათი დარგი სწავლობს ახლო აღმოსავლეთის იმ ძველ ენებსა და ცივილიზაციებს (ისტორია, ლიტერატურა, მითოლოგია, ხელოვნება), რომლებიც ლურსმულ დამწერლობას იყენებდნენ – შუმერულს, აქადურ-ბაბილონურს, ასურულს, ხეთურს, ხურიტულს, ურარტულსა და სხვ. თითოეული უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს დღეს

მსოფლიოში ამ დარგში სპეციალისტების მომზადების საშუალება, პროგრამების შედგენისას ემყარება საკუთარ ტრადიციებსა და ამჟამინდელ პოტენციალს. საბედნიეროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის შესაძლებლობა შუმერული, აქადური, ხეთური ენებისა და ცივილიზაციების შესწავლისა. გარდა ამისა, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს აგრეთვე ეგვიპტური ენისა და ლიტერატურის კურსებს. მოქნილი, ძირითადად სავალდებულო-არჩევით და არჩევით კურსებზე დამყარებული ღია სტრუქტურის პროგრამა სტუდენტებს მისცემს საშუალებას, დაეუფლოს ასირიოლოგიის საფუძვლებს მისთვის სასურველ და საინტერესო დარგებთან კომბინაციაში.

პროგრამის მიზანი: პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ფართო ჰუმანიტარული განათლების მქონე პირები, რომელთაც ექნებათ საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციები ასირიოლოგიაში. სტუდენტმა უნდა შეისწავლოს სულ ცოტა ორი ენა, რომელიც ლურსმულ დამწერლობას იყენებდა, ძველაღმოსავლური ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის საკვანძო საკითხები. მას უნდა შეეძლოს შესწავლილი ენებიდან თარგმნა, ტექსტებისთვის ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება, სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერითი და ზეპირი პრეზენტაცია. კურსდამთავრებულთა მიერ შეძენილი როგორც ზოგადად ჰუმანიტარული, ისე ვიწრო დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ. აგრეთვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები

სწავლის შედეგი:

ცოდნა-გაცნობიერება: ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრს ასირიოლოგიის სპეციალობით გააჩნია ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, ასირიოლოგიის დარგობრივი სფეროს ფართო და კომპლექსური ცოდნა; სულ ცოტა ორი ენის, რომელიც ლურსმულ დამწერლობას იყენებდა (აქადური და შუმერული ან აქადური და ხეთური), გრამატიკის საფუძვლების ცოდნა; ამ ენებზე შედგენილი ტექსტების ორიგინალში კითხვის, ტრანსლიტერაციის და თარგმანის უნარი; შუამდინარეთის ისტორიის ძირითადი პერიოდების და ლიტერატურის ისტორიის საკვანძო საკითხების ცოდნა. იგი ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს აღმოსავლეთმცოდნეობის დარგის ინტერდისციპლინურობა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია ინგლისურს B2

დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით, იცის რომელიმე კლასიკური ან აღმოსავლური ენის საფუძვლები აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრს ასირიოლოგიის სპეციალობით შეუძლია ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, ასირიოლოგიის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგის ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. პროგრამით მიღებული შესაბამისი ფართო ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი, შესწავლილ ენებზე არსებული ტექსტების ორიგინალში კითხვის, ტრანსლიტერაციის და თარგმანის უნარი.

დასკვნის უნარი: აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრს ასირიოლოგიის სპეციალობით შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მინიმალური ზედამხედველობის /ხელმძღვანელობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. შეუძლია მონაცემთა ინტერპრეტაცია, კრიტიკული შეფასება, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბება; სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება.

კომუნიკაციის უნარი: აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრს ასირიოლოგიის სპეციალობით შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და აკადემიური ან კვლევითი პროექტის დეტალური წერილობითი ანგარიში მომზადება. მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება, მათ შორის დარგობრივ სფეროში; ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო /სასწავლო/ პროფესიულ ჯგუფში, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში სხვადასხვა ტიპის დისკუსიებში მონაწილეობა.

სწავლის უნარი: აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრს ასირიოლოგიის სპეციალობით აქვს სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, ჯგუფის გამოცდილ და პროფესიონალ წევრებთან/ხელმძღვანელთან კონსულტირება. მას ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად. შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; კვლევით სამუშაოს ასრულებს წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. მას აქვს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები: აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრს ასირიოლოგიის სპეციალობით კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.

მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის (ან თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორამატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განამატრებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი (სპეციალიზაციით ასირიოლოგია), უფლება ეძლევა:

- დასაქმდეს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების სხვადასხვა სფეროში (საინფორმაციო–ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო);
- იმუშაოს სასწავლო დაწესებუბლებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, არქეოლგიურ გათხრებზე, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, გამომცემლობაში, ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლებლებში;
- იყოს ექსპერტი ორიენტალური სიძველეების განხრით.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ირინე ტატიშვილი

დამატებითი ინფორმაცია: ძირითადი პროგრამის არჩევის ბოლო ვადა მეოთხე სემესტრი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: (CV იხ. დანართი № 3)

სრული პროფესორი ირინე ტატიშვილი
სრული პროფესორი ჯემალ შარაშენიძე
სრული პროფესორი ლევან გორდეზიანი
ასოცირებული პროფესორი მაია ღამბაშიძე
ასისტენტ–პროფესორი ნინო სამსონია
მოწვეული ლექტორი, დოქტორი მანანა ხვედელიძე

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: იხ. დანართი № 4

საბაკალავრო პროგრამის სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო კომპონენტები განხორციელდება თსუ ასირიოლოგიის დეპარტამენტში, სადაც მოწყობილია ბიბილოთეკა. აღნიშნული კაბინეტი აღჭურვილია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურით, სლაიდებით, რუკებით, ინტერნეტით; ს.ყაუხჩიშვილის სახელობის დარგობრივი ბიბლიოთეკა. კომპიუტერული რესურსცენტრი (თსუ მე–5 კორპუსი, აუდიტორია 330).

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ასირიოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

დამატებითი პროგრამის დასახელება: ასირიოლოგია / Assyriology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ESTC კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: დამატებითი პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს შეასწავლოს ერთ–ერთი ენა ძველი, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, ლიტერატურა, კულტურის საკვანძო საკითხები. განუვითროს შესწავლილი ენებიდან თარგმნის უნარი, ტექსტებისთვის ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადების უნარი, სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერითი და ზეპირი პრეზენტაციის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

სწავლის შედეგი:
ცოდნა და გაცნობიერება: დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ძველი ენების დამწერლობისა და გრამატიკული საფუძვლების ცოდნა. შუამდინარეთის ისტორიის ძირითადი პერიოდების და ლიტერატურის ისტორიის საკვანძო საკითხების ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესწავლილ ენებზე არსებული ტექსტების ორიგინალში კითხვის, ტრანსლიტერაციის და თარგმანის უნარი. სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად.

დასკვნის უნარი: დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დარგობრივი მასალის მოპოვება, სისტემატიზაცია და გაანალიზებას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით და მათ საფუძველზე შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება. სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება.

კომუნიკაციის უნარი: დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვებისა და გადაცემის უნარი. შეუძლია ზეპირი და წერითი კომუნიკაცია ქართულ ენაზე აკადემიური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

სწავლის უნარი: დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სხვადასხვა კატეგორიის მასალის თანმიმდევრული ორგანიზება, სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვის უნარი.

ღირებულებები: დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს მეცნიერული ეთიკის ნორმებს, იცავს ტოლერანტობისა და ინტელექტუალური საკუთრების, პიროვნების თავისუფლებისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, ტრანსლიტერაციის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორამატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განამატრებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ირინე ტატიშვილი

დამატებითი ინფორმაცია: დამატებითი პროგრამის არჩევის ბოლო ვადა მეოთხე სემესტრი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **აღმოსავლეთმცოდნეობა**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ასირიოლოგია**
სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ირინა ტატიშვილი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები													
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)													
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სემინარი ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მომზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მოსამზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
	ენათმეცნიერების შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	აკადემიური წერა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	საქართველოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	

საფაკულტეტო არჩევითი კურსები (ევროპული ენები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	ინგლისური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ინგლისური ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	გერმანული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ფრანგული ენა A1.1			60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი

	ფრანგული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ესპანური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ესპანური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ესპანური ენა 2	5		60	45	8	10	2	ესპანური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	იტალიური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა 2	5		60	45	8	10	2	იტალიური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	რუსული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	რუსული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	რუსული ენა 2	5		60	45	8	10	2	რუსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ახალი ბერძნული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი ბერძნული ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	შვედური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	შვედური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	შვედური ენა 2	5		60	45	8	10	2	შვედური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ნორვეგიული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ნორვეგიული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ნორვეგიული ენა 2	5		60	45	8	10	2	ნორვეგიული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	პოლონური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	პოლონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	პოლონური ენა 2	5		60	45	8	10	2	პოლონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა	**10**										

	(არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)											
	ქართული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (კლასიკური ან აღმოსავლური ენა) – 10 კრედიტი (ECTS)												
	ძველი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ძველი ბერძნული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ძველი ბერძნული ენა 2	5		60	45	8	10	2	ძველი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ლათინური ენა(საფაკულტეტო)	**10**										
	ლათინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ლათინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ლათინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	არაბული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	არაბული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	არაბული ენა 2	5		60	45	8	10	2	არაბული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სპარსული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	სპარსული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	სპარსული ენა 2	5		60	45	8	10	2	სპარსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა(საფაკულტეტო)	**10**										
	თურქული ენა1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა2	5		60	45	8	10	2	თურქული ენა1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი

	ებრაული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ებრაული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ებრაული ენა 2	5		60	45	8	10	2	ებრაული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	იაპონური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	იაპონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იაპონური ენა 2	5		60	45	8	10	2	იაპონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ჩინური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ჩინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ჩინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ჩინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)	**10**										
	ახალი სომხური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი სომხური ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი სომხური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ირმა რატიანი
	შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	შესავალი არქეოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ეთნოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი კავკასიოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. ხაჩიძე, ა. ხარანაული
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		

	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ამერიკისმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
სპეციალობის სავალდებულო კურსები – 75 კრედიტი (ECTS)												
	აქადური ენა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. ღამბაშიძე
	აქადური ენა 2	5	30	30	45	8	9	3	აქადური ენა 1	✓		მ. ღამბაშიძე
	აქადური ენა 3	5	30	30	45	8	9	3	აქადური ენა 2		✓	მ. ღამბაშიძე
	შუმერული ენა 1 / ხეთური ენა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ჯ. შარაშენიძე/ ი.ტატიშვილი
	შუმერული ენა 2 /ხეთური ენა 2	5	30	30	45	8	9	3	შუმერული ენა 1 / ხეთური ენა 1	✓		ჯ. შარაშენიძე/ ი.ტატიშვილი
	შუმერული ენა 3 /ხეთური ენა 3	5	30	30	45	8	9	3	შუმერული ენა 2 / ხეთური ენა 2		✓	ჯ. შარაშენიძე/ ი.ტატიშვილი
	შუამდინარეთის ისტორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნ.სამსონია
	მცირე აზიის ისტორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ.ღამბაშიძე
	წინა აზიის ლიტერატურა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ნ.სამსონია
	წინა აზიის რელიგიები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ნ.სამსონია
	წინა აზიის ხელოვნება (გლიპტიკა)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ნ.სამსონია
	წინა აზიის სამართალი	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. ღამბაშიძე
	წინა აზიის დიპლომატია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. ღამბაშიძე
	საბაკალავრო ნაშრომი	10									✓	
სპეციალობის არჩევითი კურსები – 45 კრედიტი (ECTS)												
	აქადური ენა 4	5	30	30	45	8	9	3	აქადური ენა 3	✓		მ. ღამბაშიძე

	შუმერული ენა 4	5	30	30	45	8	9	3	შუმერული ენა 3	✓		ჯ. შარაშენიძე
	ხეთური ენა 4	5	30	30	45	8	9	3	ხეთური ენა 3	✓		ი.ტატიშვილი
	ძველი ეგვიპტური ენა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ.ხვედელიძე
	ძველი ეგვიპტური ენა 2	5	30	30	45	8	9	3	ძველი ეგვიპტური ენა 1	✓		მ.ხვედელიძე
	ძველი ეგვიპტური ენა 3	5	30	30	45	8	9	3	ძველი ეგვიპტური ენა 2		✓	მ.ხვედელიძე
	ძველი ეგვიპტური ლიტერატურა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ.ხვედელიძე
	შუმერული მწერლობა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ჯ. შარაშენიძე
	გილგამეშის ეპოსი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე			ნინო სამსონია
	ურარტული ტექსტები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ლ.გორდეზიანი
	ასირიოლოგიის შესავალი / ძველი მსოფლიოს ისტორიის საფუძვლები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი.ტატიშვილი / ლ.გორდეზიანი
	შუმერული ენიდან თარგმანის თეორია	5	30	15	60	8	9	3	შუმერული ენა 2		✓	ნ. სამსონია
	რეკომენდებული არჩევითი საგნები სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან											
	სამხრეთ კავკასია და ძველი ანატოლია: წყაროთმცოდნეობითი და არქეოლოგიური პარალელები	5							წინაპირობის გარეშე	✓		მ. ფუთურიძე
	მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგია	5							შესავალი არქეოლოგიაში	✓		მ. ფუთურიძე.
	სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი	5							წინაპირობის გარეშე		✓	მ. ნანობაშვილი
	ბიბლია და ძველი აღმოსავლეთი	5							წინაპირობის გარეშე		✓	ე. ავალიანი
	შედარებითი მითოლოგია (ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური და ქართული მითოლოგია)	5							წინაპირობის გარეშე			ქ. სიხარულიძე,
	თეორიული ეთნოლოგია 1	5							წინაპირობის გარეშე	✓		ქ. ხუციშვილი
	თეორიული ეთნოლოგია 2	5							*თეორიული ეთნოლოგია 1*		✓	ქ. ხუციშვილი
	ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 1	5							წინაპირობის გარეშე		✓	ი. სანიკიძე
	ქართული ტექსტის ლინგვისტურ–	5							ქართული ტექსტის	✓		ი. სანიკიძე

	სტილისტური ანალიზი 2								ლინგვისტურ–სტილური ანალიზი 1			
	ზოგადი ენათმეცნიერება	5							ენათმეცნიერების შესავალი		✓	ნ. ქუთელია
	იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია	5							ენათმეცნიერების შესავალი		✓	ნ. რუხაძე
	ძველი აღმოსავლეთის ისტორია	5							წინაპირობის გარეშე	✓		ჯ. შარაშენიძე. ლ. გორდეზიანი
	აღმოსავლური კულტურა	5							წინაპირობის გარეშე		✓	ნ. გელოვანი
	ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია	5							წინაპირობის გარეშე		✓	რ. გაჩეჩილაძე
	ლოგიკა	5							წინაპირობის გარეშე	✓		
	ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება	5							წინაპირობის გარეშე		✓	ი. კოშორიძე
	საქართველოს ისტორია (უძველესიდან VIII საუკუნემდე)	5							წინაპირობის გარეშე		✓	თ. დუნდუა

თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)

სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აირჩიოს ორი საგანი სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან ისწავლოს უცხო ენა.

დამატებითი პროგრამა ასირიოლოგია (60 ECTS კრედიტი)

სავალდებულო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
H. 20-02-4	აქადური ენა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. ღამბაშიძე
H. 20-01-4	აქადური ენა 2	5	30	30	45	8	9	3	აქადური ენა 1	✓		მ. ღამბაშიძე
H. 20-03-4	აქადური ენა 3	5	30	30	45	8	9	3	აქადური ენა 2		✓	მ. ღამბაშიძე
H. 20-22	ხეთური ენა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი.ტატიშვილი
H. 20-25-1	ხეთური ენა 2	5	30	30	45	8	9	3	ხეთური ენა 1	✓		ი.ტატიშვილი
H. 20-25-2	ხეთური ენა 3	5	30	30	45	8	9	3	ხეთური ენა 2		✓	ი.ტატიშვილი
H. 20-25-3	შუმერული ენა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ჯ. შარაშენიძე/
H. 20-26	შუმერული ენა 2	5	30	30	45	8	9	3	შუმერული ენა 1	✓		ჯ. შარაშენიძე/
H. 20-27	შუმერული ენა 3	5	30	30	45	8	9	3	შუმერული ენა 2		✓	ჯ. შარაშენიძე/
არჩევითი კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ძირითადი პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი											

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი